



დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის
16 იანვარი, 2020

საკონტაქტო პირი
თბილისი: დიანა ჩაჩუა
dchachua@ndi.org, +995 577 77 96 39
ვაშინგტონი: კლეიტონ მაკკლესკი
cmcclesky@ndi.org, +1 202 728-5429

NDI-ის კვლევა: დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობა მცირდება; მოსახლეობა პარლამენტის მიერ პროპორციულ სისტემაზე გადასვლის ჩაგდებას უარყოფითად აფასებს

თბილისი – ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და CRRC საქართველოს მიერ დღეს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 53 პროცენტის აზრით, საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება. მხოლოდ 19 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. ამასთანავე, მოსახლეობის 59 პროცენტი ფიქრობს, რომ საქართველო დემოკრატია არ არის. ეს მაჩვენებელი 2010 წლის შემდეგ (46 პროცენტი) მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

ამავე კვლევის თანახმად, ინსტიტუტებისადმი და ლიდერებისადმი ნდობაც მცირდება. იმ მოქალაქეების რიცხვი ვინც მთავრობის საქმიანობას "ცუდად" აფასებს, 2018 წლის შემდეგ 49 პროცენტიდან 64 პროცენტამდე გაიზარდა. ასევე გაზრდილია პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, სასამართლოებისა და პარლამენტის უარყოფითი შეფასების მაჩვენებელი. პარლამენტის საქმიანობის შეფასება ისტორიულად ყველაზე დაბალ ნიშნულზეა: 57 პროცენტი მას უარყოფითად აფასებს, 9 პროცენტი კი დადებითად. მოქალაქეების უმრავლესობა (64 პროცენტი) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ პარლამენტი მათნაირი ხალხის შეხედულებებს ითვალისწინებს, ხოლო 68 პროცენტი ფიქრობს, რომ პარლამენტის წევრები მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ემსახურებიან.

ქვეყნის მთავარი საჯარო ინსტიტუტებიდან საქართველოს ჯარს ყველაზე დადებითი შეფასება აქვს (52 პროცენტი). მას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მოსდევს 50 პროცენტით, რაც 2019 წლის ივლისის (64 პროცენტი) შემდეგ მნიშვნელოვანი ვარდნაა.

2019 წლის ივნისის აქციებზე და მომხდარ ძალადობაზე საუბრისას, 45 პროცენტი პასუხისმგებლობას მთავრობას აკისრებს. მოსახლეობის უმრავლესობას (59 პროცენტს) სმენია, რომ "ქართული ოცნება" 20 ივნისის აქციის მონაწილეების მოთხოვნას - 2020 წლის არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულიყო - დასთანხმდა, თუმცა დაპირება ვერ

შეასრულა და პარლამენტში ინიციატივამ საკმარისი ხმები ვერ მიიღო. ვისაც ეს სმენია, მათი 70 პროცენტი ამ ფაქტს ნეგატიურად აფასებს.

“შემაშფოთებელია საზოგადოების მხრიდან დემოკრატიული ინსტიტუტების ასეთი ნეგატიური შეფასება. ეს ფაქტი ქვეყნის მომავალ განვითარებასა და სტაბილურობაზე კარგად არ აისახება”, - განაცხადა ლორა თორნტონმა, NDI საქართველოს დირექტორმა. “ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის ნდობის აღდგენაზე პასუხისმგებლობა პოლიტიკურ ლიდერებს, განსაკუთრებით კი ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკისრებათ. მათივე პასუხისმგებლობაა, რომ უზრუნველყონ მომავალი საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაცია, რაც საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული დაპირების შეუსრულებლობის გამო ეჭვქვეშ დგას.”

მოსახლეობის დიდი ნაწილი მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიას ვერ ასახელებს. 19 პროცენტი ასეთ პარტიად “ქართულ ოცნებას” ასახელებს, 13 პროცენტი - “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას”, 7 პროცენტი - “ევროპულ საქართველო - თავისუფალ დემოკრატიებს”, 6 პროცენტი - “ლეიბორისტულ პარტიას”, 5 პროცენტი - “პატრიოტთა ალიანსს”, 4 პროცენტი - “პოლიტიკურ პლატფორმა - ახალ საქართველოს”, ხოლო 3 პროცენტი - “დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს”. ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, რესპონდენტთა 65 პროცენტი მიიღებდა მონაწილეობას, თუმცა 56 პროცენტმა არ იცის ვის მისცემდა ხმას. მხოლოდ 33 პროცენტმა განაცხადა, რომ ხმას იმავე პარტიას მისცემდა, ვისაც 2016 წელს დაუჭირა მხარი.

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს, გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები.

აღნიშნული კვლევა, 2019 წლის 19 ნოემბერისა და 13 დეკემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,180 პირისპირი ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სრულწლოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1.9 პროცენტი.

NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით და ატარებს CRRC საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას

საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: www.ndi.org

CRRC საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.crrc.ge